კავკასიის უნივერსიტეტი

კავკასიის სახელმწიფო მართვის სკოლა

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	
სტრატეგიული საჯარო მმართველობა	
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება ინგლისურ ენაზე	
Strategic Public Administration	
უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური	
მაგისტრატურა	
საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი	
აკადემიური	
სწავლების ენა	
ქართული	
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	
ქართულად:	საჯარო მმართველობის მაგისტრი (**0413**)
ინლისურად:	Master of Public Administration (**0413**)
პროგრამის დამტკიცებისა და განახლების თარიღი	დამტკიცებულია კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტის 2009 წლის 7 აგვისტოს ბრძანებით 01/05-111; განახლებულია კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტის 2013 წლის 27 აპრილის 01/01–13; 2014 წლის 22 იანვრის N01/01-10; 2018 წლის 6 ნოემბერის N01/01-36; 13.02.2019 N01/01-28; 2021 წლის 9 მარტის, N01/01-14; 2021 წლის 27 დეკემბერის, N01/01-92; 2024 წლის 26 აპრილს, 01/01-27 და 2024 წლის 24 დეკემბრის N01/01-93 ბრძანებით.
საჯარო მმართველობის პროგრამის ხელმძღვანელი	ხელმძღვანელი: პროფესორი, დოქტორი **ეკა აკობია** დამტკიცებულია 2018 წლის 6 ნოემბერს, N01/01-35 ბრძანებით თანახელმძღვანელი: პროფესორი, დოქტორი **გიორგი ცხადაია** დამტკიცებულია 2024 წლის 26 აპრილის N01/01-28 ბრძანებით.
პროგრამის მოცულობა კრედიტებით	

სტრატეგიული საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 120 ECTS კრედიტს, წელიწადში – 60 ECTS კრედიტს, სემესტრში – 30 ECTS კრედიტს. შესაბამისად, სამაგისტრო პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა შეადგენს 2 წელს (დასაშვები ხანგრძლივობაა 5 აკადემიური წელი). სასწავლო წელი აგებულია სემესტრული პრინციპით. ერთი სემესტრი მოიცავს 20 სასწავლო კვირას, შესაბამისად სასწავლო წელი დაგეგმილია 40 კვირაზე.

1 ECTS კრედიტი უდრის 25 საათს, რაც მოიცავს, როგორც სტუდენტის საკონტაქტო დატვირთვის დროს (ლექცია, სემინარი, პრაქტიკუმი და სხვა), ასევე მისი დამოუკიდებელი მუშაობის დროს (შუალედური და საბოლოო შეფასებისათვის, საშინაო დავალების მომზადების, სახლში წერითი დავალებების მომზადების (ესე, საკურსო, კვლევითი ნაშრომი) და პრეზენტაციისათვის განკუთვნილ საათებსა და პროფესორთა კონსულტაციების საათებს.

	სტრატეგიული საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 120 კრედიტს და შედგება სასწავლო და კვლევითი კომპონენტისაგან. სასწავლო კომპონენტში შედის 72 ECTS – სავალდებულო დარგობრივი სასწავლო კურსები; 18 ECTS არჩევითი დარგობრივი სასწავლო კურსები. სტრატეგიული საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტისათვის სავალდებულოა სამაგისტრო ნაშრომის მომზადება და დაცვა, რომელიც მოიცავს 30 ECTS კრედიტს. სტრატეგიული საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა აძლევს სტუდენტს შესაძლებლობას არჩევითი საგნების ნაცვლად აირჩიოს 10 ECTS თავისუფალი კრედიტი კავკასიის უნივერსიტეტის სხვა სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებიდან და/ან ECTS კრედიტების მიმნიჭებელი სხვა პროგრამებიდან მობილობის ფარგლებში.
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	
	კავკასიის სახელმწიფო მართვის სკოლის სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა: ა) ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი; ბ) საერთო სამაგისტრო გამოცდის წარმატებით ჩაბარება; გ) შიდასაუნივერსიტო პროცედურების წარმატებით გავლა. შიდასაუნივერსიტეტო პროცედურები შედგება სააპლიკაციო პაკეტის მიღების, ენის ფლობის დონის დადასტურებისა და სპეციალობაში ინტერვიუსაგან. პროგრამაზე ჩარიცხვის ერთ-ერთი წინაპირობაა ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნა. ამისათვის, აპლიკანტმა უნდა წარმოადგინოს ინგლისური ენის B2 დონის დამადასტურებელი სერტიფიკატი , ან გაიაროს ინგლისურ ენაში შიდასაუნივერსიტეტო ტესტირება. აპლიკანტები, რომლებსაც დასრულებული აქვთ ინგლისურენოვანი საბაკალავრო ან/და სამაგისტრო პროგრამები, თავისუფლდებიან აღნიშნული სერტიფიკატის და შიდასაუნივერსიტეტო ტესტირების ვალდებულებისაგან. პროგრამაზე სტუდენტის მობილობით გადმოსვლის პროცედურა მიმდინარეობს კანონმდებლობით და შიდა მარეგულირებელი დოკუმენტებით დადგენილი წესების შესაბამისად,
პროგრამის მიზანი	სტრატეგიული საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამის მიზანია: • მოამზადოს საჯარო მმართველობის საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკისა და საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების მიზნებისთვის შესაბამისი ცოდნითა და პრაქტიკული უნარებით აღჭურვილი სპეციალისტები; • ხელი შეუწყოს საქართველოში მტკიცებულებებზე დაფუძნებული საჯარო მმართველობისა და საჯარო პოლიტიკის განვითარებას, საჯარო პოლიტიკაში მოქალაქეთა ჩართულობის, გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულებისა და ანტიკორუფციული პროცესების განმტკიცებას; • მოამზადოს კვლევითი და სტრატეგიული კომუნიკაციის უნარებით აღჭურვილი კონკურენტუნარიანი სპეციალისტები პროფესიული დასაქმებისა და კარიერული წინსვლისთვის. საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები შეესაბამება კავკასიის უნივერსიტეტის მისიას: „კვლევებზე ორიენტირებული სწავლების და სწავლის დანერგვით ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზრებზე კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური, ზნეობრივად სრულყოფილი, დემოკრატიის იდეალების ერთგული სპეციალისტების მომზადება და საზოგადოების საგანმანათლებლო-საკონსულტაციო მოთხოვნების დაკმაყოფილება“.
პროგრამის სწავლის შედეგი	**ცოდნა და გაცნობიერება** სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ, სტუდენტი: 1. სისტემურად აღწერს საჯარო მმართველობის კონცეფციებს, მოდელებსა და პრინციპებს; განიხილავს თანამედროვე სახელმწიფოს განვითარების ტენდენციებს შედარებითი საჯარო მმართველობისა და ევროპეიზაციის ჭრილში, საქართველოსა და სხვა ევროპული სახელმწიფოების მაგალითზე;

	2. განსაზღვრავს საჯარო ორგანიზაციების მართვის სისტემასა და ძირითად პრინციპებს, ორგანიზაციული განვითარების ძირითად ინსტრუმენტებს და აიდენტიფიცირებს საჯარო დაწესებულებებში მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების ტექნიკებს, ინოვაციური და სტრატეგიული მართვის მეთოდებს, ინსრუმენტებსა და საუკეთესო პრაქტიკას; 3. განსაზღვრავს საჯარო მმართველობის კონსტიტუციურ საფუძვლებს და იცნობს ადმინისტრაციული წარმოების არსსა და თავისებურებებს და ადმინისტრაციულ წარმოებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს. **უნარი** სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი: 4. შეიმუშავებს საჯარო სექტორში სტრატეგიული მართვის, პოლიტიკის დაგეგმვის და მონიტორინგის დოკუმენტებს. გეგმავს სტრატეგიულ ინტერვენციებს, აიდენტიფიცირებს გაზომვად ინდიკატორებს; იყენებს მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის ინსტრუმენტებს და პასუხობს მდგრადი განვითარებისა და რესურსების ეფექტიანი გამოყენების მიზნებს. 5. ადგენს საჯარო და კერძო დაწესებულებების მართვის, ადმინისტრირებისა და სერვისების მიწოდების სპეციფიკას, ახდენს პროექტის მართვის სრული ციკლის საფუძველზე პროცესების დაგეგმვას შესაბამისი სერვისების მიწოდების მიზნით, მათ შორის ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით. 6. აანალიზებს სახელმწიფოს საჯარო ფინანსების მართვასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს და საბიუჯეტო დოკუმენტებს. კრიტიკულად განიხილავს სსხვადასხვა დონეზე ფინანსური სისტემის ფუნქციონირებას საჯარო ფინანსების მართვის ეფექტიანობის ჭრილში. 7. დამოუკიდებლად ახორციელებს კვლევას საჯარო მმართველობის სფეროსთვის რელევანტური კვლევის მეთოდების გამოყენებით, აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით და არგუმენტირებულ დასკვნებს წარუდგენს აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებას; იყენებს სტრატეგიული კომუნიკაციის ეფექტურ ინსტრუმენტებს. **პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა** სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი: 8. პროფესიული ეთიკისა და ქცევის ნორმების დაცვით, კარგი მმართველობის პრინციპებზე დაყრდნობით, საჯარო მმართველობის კომპლექსური პრობლემების გადაჭრისას ითვალისწინებს დემოკრატიულ ფასეულობებს, კონსტიტუციურ წესრიგს და ადამიანის უფლებებს; დამოუკიდებლად აფასებს და განსაზღვრავს საკუთარი და გუნდის წევრთა პროფესიული განვითარების საჭიროებებს.
დასაქმების სფეროები	საჯარო მმართველობის მაგისტრი შესაძლებელია დასაქმდეს საჯარო სამსახურში, მათ შორის ხელისუფლების აღმასრულებელ, საკანონმდებლო და სასამართლო შტოებში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, საკონსულტაციო ორგანიზაციებში, ასევე კერძო და არასამთავრობო სექტორში, საერთაშორისო საჯარო და კერძო ორგანიზაციებში, ისეთ თანამდებობებზე, რომლებიც დაკავშირებულია საშუალო და მაღალი დონის მენეჯერის ფუნქციების შესრულებასთან.
სწავლის გაგრძელება	საჯარო მმართველობის მაგისტრს შეუძლია სწავლა გააგრძელოს დოქტორანტურაში.

სწავლებისა და სწავლის მეთოდები
საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმში დაბალანსებულია

თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობები. ძირითადი აქცენტი კეთდება სტუდენტის ცოდნისა და ინფორმირებულობის გაზრდაზე, ანალიტიკური უნარების გამომუშავებაზე, მისი თანამედროვე ცოდნით აღჭურვილ პროფესიონალად ჩამოყალიბებაზე, მაგრამ ამავე დროს შესაბამისი დრო ეთმობა სტუდენტში თეორიული ცოდნის რეალურ ცხოვრებაში გამოყენების უნარების გამომუშავებას. სწორედ ამ მიზანს ემსახურება სასწავლო პროცესში მოწვეული სტუმრების პრეზენტაციების, დისკუსიების, სემინარებისა, ლექციების და მრგვალი მაგიდების ჩართვა, რომელიც სტუდენტებს აძლევს საშუალებას დაესწრონ გამოცდილი ადგილობრივი თუ უცხოელი პრაქტიკოსების საუბრებს და ინფორმაცია მიიღონ იმ მიდგომებზე, მეთოდებზე, ტენდენციებზე, რომლებიც დღეს აქტიურად გამოიყენება საჯარო მართვაში. პროგრამის ბოლოს სტუდენტმა საკუთარი შეხედულებისამებრ უნდა მოამზადოს სამაგისტრო ნაშრომი, სადაც იგი გამოიყენებს მიღებულ თეორიულ ცოდნასა და კვლევის უნარ-ჩვევებს. სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე გამოიყენება სწავლების ისეთი მეთოდები, როგორებიცაა ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, წერითი მუშაობის მეთოდი, დემონსტრირების მეთოდი, დისკუსია/დებატების მეთოდი, ჯგუფური (collaborative) მუშაობის მეთოდი, შემთხვევის ანალიზის (Case study) მეთოდი, როლური და სიტუაციური თამაშების მეთოდი, ახსნა–განმარტებითი მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლების მეთოდი, ელექტრონული სწავლების (learning) მეთოდი, აგრეთვე პრაქტიკული მეთოდები და სხვა. სწავლება-სწავლის პროცესში მეთოდები ერთმანეთს ავსებენ და ერთმანეთში გადადიან. კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში.	
პროგრამის განხორციელებაში მონაწილე პერსონალი	
➢ 5 აფილირებული პროფესორი; ➢ 1 პროფესორი; ➢ 4 აფილირებული ასოცირებული პროფესორი; ➢ 1 ასოცირებული პროფესორი; ➢ 16 მოწვეული ლექტორი.	

საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა

№	საგნის კოდი	წინაპირობა	საგანი\მოდული	სწავლების წელი				ECTS კრედიტი
				I		II		
				ECTS კრედიტი				
				I სემესტრი	II სემესტრი	III სემესტრი	IV სემესტრი	
			სასწავლო კომპონენტი					
			სავალდებულო დარგობრივი სასწავლო კურსები	**25**	**25**	**19**	**3**	**72**
1.	PA 5151	არ აქვს	საჯარო მმართველობა: თეორია და პრაქტიკა	6				
2.	ECON 5150	არ აქვს	თანამედროვე ეკონომიკის პრინციპები	5				
3.	CLG 5350	არ აქვს	კონსტიტუციური სამართალი	5				
4.	SHRM 5150	არ აქვს	სტრატეგიული ადამიანური რესურსების მართვა საჯარო სამსახურში	5				
5.	AW 5150	არ აქვს	აკადემიური წერა	4				
6.	PPA 5250	არ აქვს	საჯარო პოლიტიკის ანალიზი		6			
7.	EUIE 5150	არ აქვს	ევროკავშირის ინსტიტუტები და ევროპეიზაცია		5			
8.	PPPC 5250	არ აქვს	პოლიტიკის შემუშავება: პრაქტიკა და ქეისები		5			
9.	ALG 5350	არ აქვს	ადმინისტრაციული სამართალი		5			
10.	RM 5251	არ აქვს	კვლევის მეთოდები		4			
11.	PFB 5351	არ აქვს	საჯარო ფინანსების მართვა და სახელმწიფო ბიუჯეტირება			5		
12.	POM 5350	არ აქვს	საჯარო ორგანიზაციების მართვა			5		
13.	SMPS 5350	არ აქვს	სტრატეგიული მენეჯმენტი საჯარო სექტორში			5		
14.	DG 5350	არ აქვს	ციფრული მმართველობა			4		
15.	TRD 5450	AW 5150 RM 5251	სამაგისტრო ნაშრომის კვლევის დიზაინი				3	

№	საგნის კოდი	წინაპირობა	საგანი\მოდული	სწავლების წელი				ECTS კრედიტი
				I		II		
				ECTS კრედიტი				
				I სემესტრი	II სემესტრი	III სემესტრი	IV სემესტრი	
			არჩევითი დარგობრივი სასწავლო კურსები					
				5	**5**	**8**	**0**	**18**
16.	**MPPI 0050**	არ აქვს	თანამედროვე პოლიტიკური ფილოსოფია და იდეოლოგიები	5				
17.	**PCOM 5150**	არ აქვს	პოლიტიკური კომუნიკაცია	5				
18.	**SP 5050**	არ აქვს	სოციალური პოლიტიკა	5				
19.	**CA 5051**	არ აქვს	აფხაზეთის კონფლიქტი	5				
20.	**FREE 0001**	არ აქვს	თავისუფალი კრედიტი	5				
21.	**PDLG 5050**	არ აქვს	პოლიტიკური დეცენტრალიზაცია და ადგილობრივი თვითმმართველობა		5			
22.	**MGS 5350**	არ აქვს	პროექტის მართვა		5			
23.	**ERG 5050**	არ აქვს	ენერგორესურსების გეოპოლიტიკა		5			
24.	**CPA 5050**	არ აქვს	კორუფცია და საჯარო მმართველობა		5			
25.	**WTC 5050**	არ აქვს	ომის ტრანსფორმაცია, ასიმეტრიული და ჰიბრიდული კონფლიქტები		5			
26.	**FREE 0002**	არ აქვს	თავისუფალი კრედიტი		5			
27.	**RIA 5051**	არ აქვს	რეგულირების გავლენის შეფასება (RIA)			4		
28.	**EUAA 5051**	არ აქვს	ევროკავშირთან ასოცირების საკანონმდებლო და ინსტიტუციური ასპექტები			4		
29.	**TAX 5051**		საგადასახადო სისტემები და საქართველოს საგადასახადო კოდექსი			4		
30.	**IPE 5050**	არ აქვს	საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიკა			4		
31.	**POLT 5150**	არ აქვს	პოლიტიკური თეორია			4		
32.	**CMN 5350**	არ აქვს	კონფლიქტების მართვა და მოლაპარაკებები			4		
33.	**GFDP 5350**	არ აქვს	საქართველოს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა			4		

№	საგნის კოდი	წინაპირობა	საგანი\მოდული	სწავლების წელი				ECTS კრედიტი
				I		II		
				ECTS კრედიტი				
				I სემესტრი	II სემესტრი	III სემესტრი	IV სემესტრი	
			კვლევითი კომპონენტი					30
34.	MAT 5451	RM 5251 PA 5151	სამაგისტრო ნაშრომი				30	
ECTS კრედიტები			სემესტრში	30	30	27	33	120
			წელიწადში	60		60		120